**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის**

**სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის დებულება.**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისა და ადმინისტრირების მიზნით, თსუ მედიცინის ფაკულტეტის საბჭო ქმნის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიას.

2. წინამდებარე დებულება აწესრიგებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის წესსა და პირობებს.

**მუხლი 2. ფაკულტეტის** სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისია

1. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისია იქმნება ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

2. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისია შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან.

3. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის დებულებას ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

4. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა, ან გაუქმება ხდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

5. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს მისი თავმჯდომარე - დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

მუხლი 3. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის მოვალეობა და უფლებამოსილება

1. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ ქმედებების განხორციელების ხელშეწყობას.

2. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წევრი:

ა. დოქტორანტურაში სწავლის უფლების მისანიჭებლად ატარებს გასაუბრებას სპეციალობაში დოქტორანტობის კანდიდატებთან - მიღების წინაპირობების გათვალისწინებით, ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით დადგენილი გასაუბრების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად. კომისიის თავმჯდომარე გასაუბრების შედეგებს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;

ბ. მონაწილეობს დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული დოქტორანტის პირველი კვლევითი პროექტის პრეზენტაცია-განხილვაში (რომელიც ორგანიზებულია შესაბამისი კათედრის მიერ) რასაც ადასტურებს შესაბამის ოქმზე ხელმოწერით **(დანართი N1).**

დ. მონაწილეობს დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული დოქტორანტის მე-2 კვლევითი პროექტის (სამეცნიერო ნაშრომის შედეგების აპრობაცია) შეფასებაში. სამეცნიერო ნაშრომის შედეგების აპრობაციის ორგანიზება ხდება შესაბამისი კათედრის მიერ. კათედრა ასევე წინასწარ გამოყოფს რეცენზენტს, რომელიც აპრობაციაზე წარმოადგენს წერილობით დასკვნას. ხელს აწერს აპრობაციის სხდომის ოქმს შესაბამისი კათედრის გამგესთან ერთად **(დანართი N2).**

ე. კომისიის წევრი, რომელიც ესწრება მეორე კვლევით პროექტს, შეიმუშავებს სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების სავარაუდო სიას (არანაკლებ 2 რეცენზენტის და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის არანაკლებ 7 წევრისა) და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების **N5 დანართი)**

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მუდმივმოქმედი კომისიის შესაბამის წევრს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

**მუხლი 4.** ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის წესი

1. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისია თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის წესდების, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების, თსუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის და ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის დებულების და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
2. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე კომისიის სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის, ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის ან ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის წევრთა სულ მცირე, 1/3-ის მოთხოვნით.

3. ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების ადმინისტრირების მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე.